# სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"

*საქმიანობის ანგარიში, 2012 წელი*

# საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა
- გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა
- ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტი
- აღრიცხვის კონტროლი

# საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა

- საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა ესკოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება.

- 2012 წელს საბალანსო ელექტროენერგიის წილმა საბითუმო ვაჭრობაში შეადგინა – 17.1%



# საბალანსო ელექტროენერგიის მომწოდებლები

2012 წელს ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგია შედგება თბოელექტროსადგურების, ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული და ესკო-ს მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიისაგან, რომელთა წილობრივი მონაწილეობა, თვეების მიხედვით, მოცემულია გრაფიკზე.

ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგია, 2012 წელი




| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიდროელექტროსადგურები | 17.32 | 11.17 | 14.06 | 44.69 | 42.93 | 26.31 | 71.64 | 52.50 | 24.23 | 30.61 | 14.65 | 11.98 |
| თბოელექტროსადგურები | 97.17 | 56.22 | 66.40 | 99.89 | - | 2.63 | 5.93 | 71.11 | 87.79 | 129.37 | 125.76 | 10.20 |
| იმპორტიორი (ესკო) | 80.49 | 74.45 | 217.59 | 25.97 | .25 | .83 | .61 | .22 | 22.04 | 50.91 | 47.60 | 93.64 |

# ელექტროენერგიის მომწოდებლების მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერგიის ფორმირებაში

| ელექტროენერგიის გამყიდველები | 2012 წელი | |
|---|---|---|
| | კვტ.სთ | წილი, % |
| ჰიდროელექტროსადგურები | 362 084 629 | 20.94% |
| თბოელექტროსადგურები | 752 456 340 | 43.52% |
| იმპორტიორი (ესკო) | 614 590 276 | 35.54% |
| ჯამი | 1 729 131 245 | 100.00% |

ჰესების, თესების და იმპორტის წილი საბალანსო ელექტროენერგიაში, 2012 წელი



# საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველები

2012 წელს საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველები ძირითადად იყვნენ გამანაწილებელი ენერგოკომპანიები, პირდაპირი მომხმარებლები და ექსპორტიორები. მარტის თვეში საბალანსო ელექტროენერგიის მიწოდება მოხდა აფხაზეთის მოხმარების უზრუნველსაყოფად.
საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველების წილობრივი მონაწილეობა, თვეების მიხედვით, მოცემულია გრაფიკზე.




| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პირდაპირი მომხმარებელი | 53.78 | 65.81 | 34.59 | 11.87 | 5.80 | 23.32 | 62.62 | 43.82 | 77.46 | 79.89 | 73.09 | 37.86 |
| გამანაწილებელი კომპანია | 141.19 | 76.02 | 112.77 | 154.41 | 37.37 | 5.75 | 6.67 | 80.01 | 56.60 | 131.00 | 114.91 | 77.96 |
| ექსპორტიორი | 0.0012 | 0.00 | 0.00 | 4.27 | 0.01 | 0.71 | 8.89 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| აფხაზეთში მიწოდება | 0.00 | 0.00 | 150.69 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

# კვალიფიციური საწარმოების მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვაში

| ელექტროენერგიის მყიდველები | 2012 წელი | |
|---|---|---|
| | კვტ.სთ | წილი, % |
| პირდაპირი მომხმარებელი | 569 909 047 | 32.96% |
| გამანაწილებელი კომპანია | 994 650 542 | 57.52% |
| ექსპორტიორი | 13 885 001 | 0.80% |
| აფხაზეთში მიწოდება | 150 686 655 | 8.71% |
| ჯამი | **1 729 131 245** | **100.00%** |

პირდაპირი მომხმარებლების, განაწილების ლიცენზიატებისა და ექსპორტიორების მიერ საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვის წილობრივი მაჩვენებლები, 2012 წელი



# გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება

გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება ხდება ესკოს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ***საშუალო შეწონილი ფასით***



# მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერგიის ფასი

მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურებისაგან ესკო საბალანსო ელექტროენერგიას შეისყიდის:

- *სექტემბრიდან-მაისამდე პერიოდში – იმავე საანგარიშო პერიოდში ესკოზე გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ყველაზე მაღალი ტარიფით;*
- *მაისიდან-სექტემბრამდე პერიოდში –წარმოების ყველაზე დაბალი ტარიფის მქონე მარეგულირებელი ელექტროსადგურის ტარიფით (1.17 თეთრი/კვტ.სთ).*



# საბალანსო ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის მაჩვენებელი

- 2012 წელს ესკო-ს მიერ საბალანსო ელექტროენერგიის მომწოდებლებზე გადახდილ იქნა 144 884 799 ლარი, რაც მთლიანი დარიცხვის (პერიოდის დასაწყისში არსებული ნაშთის გათვალისწინებით) 92.5%-ია.

- 2012 წელს ესკო-დან შესყიდულ საბალანსო ელექტროენერგიაზე კვალიფიციური საწარმოების მიერ გადახდილ იქნა 154 646 413 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), რაც დარიცხული თანხის (პერიოდის დასაწყისში არსებული ნაშთის გათვალისწინებით) 93.7%-ია.

# გარანტირებული სიმძლავრე

- ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემსახურება გარანტირებული სიმძლავრე.
- გარანტირებული სიმძლავრის წყაროს და თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის გარანტირებული სიმძლავრის მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.
- თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია დღიურ ბაზისზე.
- გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხდება მხოლოდ ესკოს მეშვეობით პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.

# საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროები, მათთვის დადგენილი გარანტირებული სიმძლავრის მინიმალური ოდენობა




** საქართველოს მთავრობის 2011 წლის 10 ნოემბრის №424 დადგენილებით აირტურბინულ ელექტროსადგურს 2012 წლის 1 აპრილიდან გარანტირებული სიმძლავრის მინიმალური ოდენობა განესაზღვრა 80 მვტ-ით ნაცვლად 65 მვტ-ისა.*

# 2012 წელს გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფილი დღეების რაოდენობა და უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის საფასური

*საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების თანახმად, თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის გარანტირებული სიმძლავრის დღიურ ბაზისზე დადგენილი საფასური 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა:*

| | | | |
|---|---|---|---|
| 55 597 ლარი/დღე | 20 214 ლარი/დღე | 21 513 ლარი/დღე | 59 472 ლარი/დღე |
| აირტურბინული ელექტროსადგური | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №3 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №4 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №9 ენერგობლოკი |
| 335 დღე | 300 დღე | 300 დღე | 303 დღე |

*მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების თანახად, 2012 წლის სექტემბრიდან 2013 წლის სექტემბრამდე გარანტირებული სიმძლავრის წყაროებს გარანტირებული სიმძლავრის საფასური უნაზღაურდებათ მათ მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს:*

# 2012 წელს გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის საფასური

| აირტურბინული ელექტროსადგური | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №3 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №4 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №9 ენერგობლოკი |
|---|---|---|---|
| *17.46 მლნ.ლარი* | *5.10 მლნ.ლარი* | *7.71 მლნ.ლარი* | *17.72 მლნ.ლარი* |
| *314 დღე* | *254 დღე* | *361 დღე* | *297 დღე* |

*2012 კალენდარული წლის განმავლობაში გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფილი დღეების რაოდენობა შეადგენდა:*

*მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების თანახად, 2012 წლის სექტემბრიდან გარდაბნის თბოელექტროსადგურის №3 ენერგობლოკს გარანტირებული სიმძლავრის საფასური დაუდგინდა 20 214.00 ლარი, ნაცვლად 20 016.00 ლარისა; №4 ენერგობლოკს – 21 513.00 ლარი, ნაცვლად 21 297.00 ლარისა, ხოლო №9 ენერგობლოკს – 59 472.00 ლარი, ნაცვლად 59 811.00 ლარისა.*

## გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველები

გამანაწილებელი ენერგოკომპანია

პირდაპირი მომხმარებელი

ექსპორტიორი

გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმო ვალდებულია აანაზღაუროს გარანტირებული სიმძლავრის საფასური გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების ფაქტობრივ ჯამურ მოხმარებასა და ექსპორტში მისი ფაქტობრივი მოხმარების ან ექსპორტის წილის პროპორციულად .

# გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების წილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიან შესყიდვაში, 2012 წელი



# 2012 წელს კვალიფიციური საწარმოების მიერ 1 კვტ.სთზე გადახდილი გარანტირებული სიმძლავრის საფასური თვეების მიხედვით (თეთრი)



# ესკოს მიერ განხორციელებული იმპორტი და ექსპორტი

- ესკომ 2012 წელს ელექტროენერგიის იმპორტი განახორციელა რუსეთის ფედერაციიდან და აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან. ესკოს მიერ განხორციელებულ იმპორტში მნიშვნელოვანი წილი რუსეთის ფედერაციასთან დამაკავშირებელ ელექტროგადამცემ ხაზებზე მოდის.
- 2012 წელს ესკოს მიერ ელექტროენერგიის ექსპორტირება მოხდა ორ მეზობელ ქვეყანაში:

  რუსეთის ფედერაციასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. იმპორტის მსგავსად,

  ესკოს ექსპორტის ძირითადი წილი რუსეთის ფედერაციაზე მოდის.






# ესკოს წილი იმპორტ-ექსპორტის მთლიან მოცულობაში

- 2012 წელს კომერციული ოპერატორის მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეადგენს 614.6 მლნ კვტ.სთ-ს, რაც მთლიანად ქვეყანაში განხორციელებული იმპორტის (614.60104 მლნ კვტ.სთ) თითქმის 100 %-ია.
- 2012 წელს ესკოს მიერ ექსპორტირებულია 381.2 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია, რაც ქვეყნიდან ფაქტიურად განხორციელებული ექსპორტის (528.1 მლნ კვტ.სთ) 72.2 %-ს შეადგენს.






# აღრიცხვის სისტემების მონიტორინგი

- ელექტროენერგიის საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილების მონიტორინგის მიზნით, აღრიცხვის კონტროლის დეპარტამენტის აუდიტორების მიერ (დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად), 2012 წელს განხორციელდა 1023 საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძის ინსპექტირება. ყველა მათგანზე შედგა საბითუმო (კომერციული) აღრიცხვის კვანძის ინსპექტირების აქტები;
- კვალიფიციური საწარმოს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისას ან რეგისტრაციაში ცვლილების შემთხვევაში, კომისიური წესით შემოწმდა და ექსპლუატაციაში მიღებული იქნა საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელი 33 საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძი. ყველა მათგანზე შედგა ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელი აღრიცხვის კვანძის შემოწმების აქტები;
- აზერბაიჯანის მხარის მოთხოვნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ ერთად შემოწმდა 330/110კვ ქ/ს „აღსტაფაში“ და 500/330/220/110კვ ქ/ს „გარდაბანში“ 330კვ ეგხ „გარდაბანის“ აღრიცხვის კვანძები და შედგა აღრიცხვის კვანძის შემოწმების აქტები;
- სომხეთის მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ ერთად შემოწმდა 110/35/10კვ ქ/ს „აშოცკში“ 110კვ ეგხ „ნინოწმინდას“ და 220/110/35კვ ქ/ს „ალავერდი–2–ში“ 110კვ ეგხ „ლალვარის“ აღრიცხვის კვანძები და შედგა აღრიცხვის კვანძის შემოწმების ოქმები;
- საქართველოს მასშტაბით, სულ განხორციელდა 40 მივლინება, აქედან 26 მივლინება განხორციელდა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ დამტკიცებული საბითუმო აღრიცხვის წერტილების ინსპექტირების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ხოლო 14 მივლინება კი – კვალიფიციური საწარმოების მოთხოვნით.
- ინსპექტირების დროს გამოვლენილ ყველა ხარვეზზე, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი რეაგირება.

# ესკოს სტრუქტურა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- ესკოში 2012 წელს დასაქმებული იყო 64 თანამშრომელი;
- ესკოს სტრუქტურა მოიცავს მენეჯმენტს – გენერალური დირექტორისა და 2 მოადგილის შემადგენლობით და 11 სტრუქტურულ ქვედანაყოფს – დეპარტამენტს;
- 3 დეპარტამენტი იმყოფება გენერალური დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაში;
- 4-4 დეპარტამენტი იმყოფება გენერალური დირექტორის მოადგილეების დაქვემდებარებაში.

# ესკოს სტრუქტურა



**WWW.ESCO.GE**